ოქმი N8

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი 2021 წლის 10 აგვისტო

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 22 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 22 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პროექტების ინიციირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი);

3. „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს და თვითმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებთან

დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ფ. შონია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სხდომას ვერ ესწრებოდა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე (ტ. ალექსანდრია) და დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებულ კომისიის დასკვნას წარმოადგენდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ქარდავა.

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან

რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს მამუკა ქარდავას, წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

მ. ქარდავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადებული დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: ახალგაზრდული მიმართულებით ინიცირებული პროექტების თანადაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის „ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება" ფუნქციებს დაემატა ახალგაზრდული მიმართულებით ინიციირებული პროექტების თანადაფინანსება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N11 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პროექტების ინიციირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი)

მოისმინეს: ჯ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პროექტების ინიციირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით

დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პროექტების ინიციირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის №8 დადგენილებაზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებული სამართლებრივი დასკვნის საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პროექტების ინიციირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. დადგენილების პროექტით №8 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-10 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით და განისაზღვრება ინიციირებული პროექტების დაფინანსების წყარო. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში აღნიშნული პროექტების დაფინანსებისთვის (თანადაფინანსებისთვის) გათვალისწინებულია 10000 ლარი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით მიღება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა მერიის მიერ წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N12 ოქმს თან ერთვის)

3. „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: მ. რუხაძე - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის)

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველის ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნების თარიღად განისაზღვრა 2021 წლის 2 ოქტომბერი. საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს სარჩევნო კოდექსი“ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის დადგენილია შემდეგი ვალდებულებები: ა) არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 10 დღისა უნდა გამოიყოს და გამოქვეყნდეს იმ ადგილებისა და სტენდების ჩამონათვალი, სადაც საარჩევნო სუბიექტებს შეეძლებათ საარჩევნო პლაკატებისა და სტენდების გაკვრა; ბ) წინასაარჩევნო პერიოდში ხელი უნდა შეეწყოს საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და

ჩატარებაში და ამ მიზნით გამოიყოს შესაბამისი შენობა-ნაგებობები. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ორგანულ კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 58-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობას საარჩევნო კომისიებს დროებით, უსასყიდლოდ გადასცემენ. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველის ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილ განკარგულების პროექტში გარკვეული კორექტირების შეტანა, კერძოდ: პრეამბულაში სიტყვები „ნაწილების“ და „ნაწილი“ შეიცვალოს სიტყვებით „პუნქტები“ და „პუნქტი“, განკარგულების 1-ლი მუხლის „ბ“ პუნქტს დაემატოს სიტყვა „ქ. ხობში“ და სტალინის ქუჩის ნაცვლად ჩაიწეროს ზ. გამსახურდიას ქუჩა, „კ“ პუნქტს დაემატოს სიტყვა „პირველი მაისის“. ზემო აღნიშნული კორექტივების შეტანის შემდეგ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N18 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2021 წლის 10 აგვისტოს რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანთარია
4. დავით ბერაია
5. მერაბ ფილიპია
6. თემური გულუა
7. კახა ლატარია
8. ბექა მამაცაშვილი
9. რამინი ხილაძე
10. დავით ცინაძე
11. გიგა ნასარაია
12. ნიკოლოზ ვეკუა
13. კახა მიქაბერიძე
14. გოჩა ჯობავა
15. გოჩა სიჭინავა
16. მზია ლემონჯარია
17. კობა გოქაძე
18. გენადი ქამანაია
19. ფრიდონი შონია
20. შადიმან ჭილაია
21. გია წულაია
22. აკაკი ხურცლავა